

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალთან დასაბუთებელი აფილირების
ხელშეკრულების ტიპიური ფორმა

აფილირების ხელშეკრულება #

ქ. თბილისი ~ ~ 2019 წ. _____

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში - სტუ), მისი რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში - დამსაქმებელი) და მეორეს მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში გამარჯვებული ფიზიკური პირი (შემდგომში - აფილირებული პირი), ერთად

წოდებული როგორც „მხარეები“, საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ამ ხელშეკრულებით აფილირებული პირი თანახმობას აცხადებს, იყოს აფილირებული სტუ-სთან;
- 1.2. აფილირებული პირის უფლება-მოვალეობანი აფილირების საკითხებში განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. აფილირებული პირი ვალდებულია:

2.1.1. განსაზღვროს თავისი აფილირება მხოლოდ სტუ-სთან, სტუ-ს სახელით მიიღოს მონაწილეობა

საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და სტუ-ში:

- ა) განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობა, ხოლო მისი კვლევის შედეგები ჩაეთვლება სტუ-ს;
- ბ) აქტიურად იყოს ჩართული საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- გ) აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

2.1.2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში (აგრეთვე ნებისმიერ დროს, აკადემიური დატვირთვის გაზრდისას, ასეთ ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წერილობით

შეატყობინოს დამსაქმებელს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური/სასწავლო დატვირთვის ოდენობის შესახებ.

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:

2.3.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისას გააუქმოს კონკურსის შედეგი აფილირებული პირის ნაწილში და მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

3.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება _____ წლის _____ - დან _____ წლის _____ - მდე.

3.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა მისი შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აფილირებული პირის მიერ ეთიკის კოდექსის, ამ ხელშეკრულების ან/და შრომითი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში.

4. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

4.1. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ დამსაქმებელსა და აფილირებულ პირს შორის შეთანხმებული პროცედურის გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით;

4.2. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

5. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

5.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები;

5.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით;

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გარდა ხელშეკრულების 2.1.1-2.1.2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე

ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს;

5.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

7. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაკმებელი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ს/ნ 211349192

მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას, 77

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი

_____ (ხელმოწერა)

აფილირებული პირი

_____ (სახელი, გვარი)

_____ (მისამართი)

_____ (პირადი №)

_____ (ტელეფონი)

_____ (ხელმოწერა)